CVP 66100000

ხელშეკრულება №7
საბანკო მომსახურების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება საბანკო მომსახურების შესახებ (შემდგომში – ხელშეკრულება) დადებულია 09/01/2013, შპს ელ.მაგნიტურ თავსებადობასა და ხელშ.დაკვ. სამს. (შემდგომში - კლიენტი), - რეგისტრირებული დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 13/04/1998, რეგისტრაციის #203855186, გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 203855186, მისამართი: თბილისიქ. თბილისი, რ-ნი: დიდუბე-ჩუღურეთი, თევდორე მღვდლისს ქ.#46, /// წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის გიორგი ხუციშვილის მიერ, ერთი მხრივ, და სს "საქართველოს ბანკს", (შემდგომში - ბანკი) - რეგისტრირებული ქ. თბილისის კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 29.11.1995 წ., რეგისტრაციის #06/5-07, მისამართი: თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, წარმოდგენილი ცენტრალური ფილიალის სერვის ცენტრის მენეჯერის დალი სულთანიშვილის მიერ, მეორე მხრივ, შორის (შემდგომში კლიენტი და ბანკი ერთობლივად იწოდებიან როგორც მხარეები და ცალ-ცალკე - როგორც მხარე) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საბანკო მომსახურების შესახებ შემდეგზე:

მუხლი 1.
ხელშეკრულების საგანი

1.1. ბანკი ვალდებულია ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაუწიოს კლიენტს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
1.2. ბანკი კლიენტს გაუწევს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებებს იმ დროისათვის ბანკის სტრუქტურაში არსებულ წესებისა და პირობების, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამასთან, ბანკის სტრუქტურაში არსებული წესებსა და პირობებს და ამ ხელშეკრულების დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების დებულებებს.

მუხლი 2.
საბანკო მომსახურება
2.1. ტერმინთა განმარტება

გამოყენებული ტერმინების განმარტებები:
1. ანგარიშ(ებ)ი - მულტისავალუტო ანგარიში, რომელსაც ბანკი უხსნის კლიენტს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განსახორციელებლად.
2. ამონაწერი - ანგარიშზე ჩატარებული ოპერაციების ჩამონათვალი.
3. ბარათი - ბანკის მიერ ემიტირებული საერთაშორისო პლასტიკური პარათი (საგადამხდელო სისტემა Visa, Master Card და ა.შ.) რომელიც დაკავშირებულია კლიენტის მიმდინარე, და/ან კლიენტის მიერ მითითებულ სხვა სპეციალურ ანგარიშთან და რომელსაც კლიენტი (მის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ი) იყენებს მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების შესაბამისად.
4. დავალება - ნებისმიერი დავალება, რომელსაც კლიენტი აძლევს ბანკს უშუალოდ და/ან დისტანციური სამიმწოდებელო მომსახურების გამოყენებით (წვდომის კოდ(ებ)ის საშუალებით) ხელშეკრულებისა და მოქმედი საბანკო პროცედურების პირობების შესაბამისად.
5. დისტანციური სამიმწოდებელო მომსახურება - საბანკო პროდუქტების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც კლიენტს ეძლევა განსაზღვრული საბანკო ოპერაციების წარმოების/ინფორმაციის მიღების საშუალება საბანკო დაწესებულებაში მოუსვლელად. ამგვარ მომსახურებაში შედის ინტერნეტ ბანკით მომსახურება.
6. საბანკო დღე - თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, დღე (შაბათის ან კვირის გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.
7. წვდომის კოდები - კოდები, პაროლები, კლიენტის საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი და სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ბანკმა შესაძლოა მიაწოდოს კლიენტს სხვადასხვა საბანკო მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისათვის.
8. ოპერაცია - კლიენტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა, კონვერტაცია ან განაღდება სამიმწოდებელო ბარათის, ბარათის ნომრის, PIN-ის ან სხვა წვდომის კოდის გამოყენებით.

2.2. საბანკო ანგარიშ(ებ)ი

2.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მის თანახმად ბანკი კლიენტს გაუხსნის მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიშ(ებ)ს.
2.2.2. კანონით ნებადართულ ფარგლებში და წესით კლიენტს შეუძლია ჰქონდეს რამდენიმე ანგარიში ერთდროულად.
2.2.3. კლიენტს ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად გადაეცემა ანგარიშის ნომერი.
2.2.4. ანგარიშ(ებ)ი მრავალვალუტიანია, კერძოდ: ბანკში დადგენილი ფორმით კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას, მაგრამ არ არის ვალდებული, კლიენტს შესთავაზოს ერთი და იმავე ანგარიშზე სხვა და სხვა ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა.
2.2.5. ბანკი ვალდებულია:
- გაუხსნას კლიენტს საბანკო ანგარი(ებ)ში აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის დღიდან 1 (ერთი) საბანკო დღის განმავლობაში.
- კლიენტის საგადასახადო დავალების საფუძველზე და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ანგარიშზე შესული თანხები გადარიცხოს კუთვნილებისამებრ.

კონფიდენციალური
- Confidential -

- ჩამოწეროს კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დავალების გარეშეც, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშებზე მათ ჩასარიცხად.
- მიიღოს კლიენტისაგან და გასცეს მასზე ან მისი დავალებით სხვა პირზე, ნაღდი ფული.
- ანგარიშზე საკმარისი ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაში კლიენტის დავალებით მისი ანგარიშიდან მოახდინოს ერთი ვალუტიდან მეორეში ფულადი სახსრების კონვერტაცია 2.4 მუხლით გათვალისწინებული პირობებით.
- უზრუნველჰყოს კლიენტის მიერ ბანკისათვის მინდობილი ფულადი სახსრებისა და კომერციული საიდუმლოების დაცვა, და კლიენტის მოთხოვნით სახსრების დროული დაბრუნება.

2.2.6. ბანკი უფლებამოსილია:
- კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე მისი გაფრთხილების შემდეგ დახუროს ანგარიშ(ებ)ი, თუკი ამგვარი 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში კლიენტის მიერ არ მოხდა დარღვევის აღმოფხვრა. ასეთ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილი იქნება კლიენტის ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას მის მიმართ არსებული ნებისმიერი დავალიანება და თანხის დარჩენილი ნაწილი გადარიცხოს კლიენტის მიერ მითითებულ ანგარიშზე სხვა ბანკში (ან ამგვარი მითითების მიღებამდე მოახდინოს თანხების ბლოკირება, ანუ არ განახორციელოს საბანკო ოპერაციები). ანგარიშის დახურვისას გათვალისწინებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის საბანკო და საგადასახადო კანონმდებლობით) გათვალისწინებული მოთხოვნები.
- კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან ან/და კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი სახის სხვა ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ანგარიშ(ებ)ის წარმოებისა ან/და კლიენტის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობისთვის ხელშეკრულების დანართ #1-ით და ბანკში მოქმედი პირობების შესაბამისად დაწესებული საკომისიო ასევე ყველა სახის გადასახდელი/გადასახადი, ხოლო თუ საკომისიო გადასახდელი/გადასახადი და ანგარიშ(ებ)ზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ანგარიშ(ებ)იდან.

2.2.7. კლიენტი ვალდებულია:
- გადაუხადოს ბანკს ანგარიშის წარმოებისა და გაწეული მომსახურების ტარიფები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ამ მომსახურებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების დანართ #1-ში მითითებული მომსახურების ტარიფების მიხედვით.
- ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშებზე სახსრების შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკის ან აღნიშნული თანხის მფლობელის მოთხოვნით შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში დაუბრუნოს თანხა მის მფლობელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- სარეგისტრაციო მონაცემ(ებ)ის ცვლილების შემთხვევაში, ყოველ ჯერზე განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების ან/და გაუქმების შესახებ წერილობითი ფორმით შეატყობინოს ბანკს, აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 3(სამი) საბანკო დღის ვადაში. კლიენტის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს დამდგარ ზიანზე.

2.2.8. კლიენტს უფლება აქვს:
- მისცეს ბანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად მხოლოდ მისი უფლებამოსილების ფარგლებში.

2.2.9. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორისა და დროულობისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2.10. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული.

2.2.11. კლიენტი პასუხისმგებელია ანგარიშ(ებ)ის გასახსნელად და მასზე ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობისათვის. კლიენტი აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, რომ აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებებით და განცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, კლიენტი ვალდებულია ბანკისთვის წარდგენილ აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტსა ან/და ინფორმაციაში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების ან/და გაუქმების შესახებ წერილობითი ფორმით შეატყობინოს ბანკს, აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 5(ხუთი) საბანკო დღის ვადაში. კლიენტის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს დამდგარ ზიანზე. აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულება ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება ბანკისთვის წარდგენილ ყველა იმ დოკუმენტზეც, რომლითაც კლიენტს გაცემული აქვს მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება.

2.2.12. კლიენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე, ბანკი შესაბამის ფიზიკურ პირებზე გასცემს კორპორატიულ / ბიზნეს ბარათებს, კლიენტის მიერ მოთხოვნილი ოდენობით ბანკში არსებული წესების შესაბამისად. ბიზნეს ბარათი დაკავშირებული იქნება კლიენტის ერთ-ერთ საბანკო ანგარიშთან, რომლიდანაც მოხდება ბარათით სარგებლობისას გახარჯული თანხების ჩამოჭრა. ბიზნეს ბარათით სარგებლობისას მის მფლობელებზე სრულად გავრცელდება ბანკის მიერ პერიოდულად დამტკიცებული სარგებლობის წესები და დებულებები.

2.3. დისტანციური საბანკო მომსახურება (ინტერნეტ ბანკი)

2.3.1. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის რეგისტრაციას ინტერნეტბანკის პროგრამაში ბანკში დადგენილი წესით და პირობებით, რა პერიოდშიც ბანკი პასუხისმგებელი იქნება ინტერნეტბანკის უსაფრთხო და გამართულ მუშაობაზე, ხოლო კლიენტს საშუალება ექნება ბანკში დადგენილი წესით და პირობებით აწარმოოს მისი აქტიური და პასიური ოპერაციები.

2.3.2. კლიენტი პასუხისმგებელია: ა) ყველა დავალებაზე (მათ შორის დავალებაში დაშვებულ შეცდომებზე), რომელიც შიწოდებული იქნება ბანკისათვის კლიენტის სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ არ შეწყდება დისტანციური საბანკო მომსახურებით (ინტერნეტბანკით) სარგებლობა და ბ) ნებისმიერ ოპერაციაზე, რომელსაც იგი განახორციელებს

კონფიდენციალური
- Confidential -

დისტანციური საბანკო მომსახურებით აღნიშნული მომსახურების გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ.
2.3.3. ბანკი მიმართავს ყველა ზომას რათა კლიენტი უზრუნველყოს დისტანციური საბანკო მომსახურებით, მაგრამ ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით კლიენტის უზრუნველყოფა ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნული გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება ბანკის სისტემის ან დისტანციური საბანკო მომსახურების შეფერხება სისტემის განახლების და გაუმჯობესების მიზეზით.

2.4. ვალუტის გაცვლა

2.4.1. ბანკი კლიენტს გაუწევს ვალუტის გაცვლითი ოპერაციებით მომსახურეობას. ვალუტის გაცვლით ოპერაციაში იგულისხმება კლიენტის ერთ-ერთ სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლით ოპერაციას ბანკი შეასრულებს კლიენტის განაცხადის შესაბამისად ბანკში დადგენილი კომერციული კურსით.
2.4.2. ბანკი იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია კლიენტის სტანდარტულ და/ან უნივერსალურ ანგარიშებზე, ამგვარი ოპერაციის საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულებისთანავე ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე კლიენტის მიერ ნაყიდი თანხა განაცხადში მითითებულ ვალუტირების (კლიენტის ანგარიშებზე თანხების ჩამოწერისა და ჩარიცხვის) თარიღში.
2.4.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს კლიენტის სტანდარტულ და/ან უნივერსალურ ანგარიშებზე თანხებს, განაცხადში არსებული კლიენტის მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში (ოპერაციის საზღაურის გათვალისწინებით) ოპერაციის დასრულებამდე (ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩამოჭრა/ჩარიცხვამდე ან ბანკის მიერ ოპერაციის შეუსრულებლობისას).
2.4.4. ბანკი არ იღებს ვალდებულებას ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ დადგენილი კურსი არ აკმაყოფილებს კურსის შეზღუდვის მოთხოვნებს. კურსის შეზღუდვა გულისხმობს მხოლოდ განაცხადში მითითებულ კურსში ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულების მოთხოვნას.
2.4.5. კლიენტი ვალდებულია ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს ბანკში დადგენილი ზოგადი წესები (განაცხადის წარდგენის ვადები, შევსების წესები და ა.შ.) და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადი ბანკში იმ დროისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად თუ მხარეთა დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2.5. ინკასაცია

2.5.1. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი განახორციელებს კლიენტის საინკასაციო მომსახურებას, ,,საბანკო დაწესებულებებში საკასო ოპერაციების წარმოების წესების შესახებ'' საქართველოს ეროვნული ბანკის დებულების 22-ე და 23-ე მუხლებით დადგენილი ნორმების შესაბამისად, კლიენტის ოფის(ებ)იდან ბანკამდე. საინკასაციო მომსახურების გაწევა მოხდება ხელშეკრულების დანართ #1-ში მითითებულ ადგილებში, ვადებში და ტარიფებით.
2.5.2. ბანკი ვალდებულია მიიღოს, და არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა ასახოს კლიენტის ანგარიშზე ინკასაციით მიღებული თანხა.
2.5.3. ბანკი ვალდებულია წინასწარ წარუდგინოს კლიენტს ინკასატორთა სრული სია მათი პირადობის მოწმობებში არსებული რეკვიზიტების მითითებით.
2.5.4. ბანკი ვალდებულია საჭიროებისამებრ მოამარაგოს კლიენტს თანხლებითი უწყისებით, დასაპლომბი საშუალებებით, აგრეთვე გამოუყოს და მიამაგროს მას დანომრილი საინკასაციო ჩანთები, რომლებიც წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის ამოწურვის შემთხვევაში უნდა დაუბრუნდეს მას. ჩანთების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი აუნაზღაურებს ბანკს ჩანთების ღირებულებას საბალანსო შეფასებით.
2.5.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისაგან განსხვავებული, დამატებითი საინკასაციო ოპერაციის განხორციელების საჭიროების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ერთი დღით ადრე გააკეთოს განაცხადი საინკასაციო მომსახურებაზე, რის საფუძველზეც გაფორმდება დამატებითი ხელშეკრულება შეთანხმებული საინკასაციო პირობებისა და ტარიფის გათვალისწინებით.
2.5.6. კლიენტის წარმომადგენელი უნდა დაესწროს ინკასირებული თანხის გადათვლის პროცესს და ხელი მოაწეროს შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მიერ შედგენილი აქტი წარმოადგენს უდავო და სავალდებულო დოკუმენტს ორივე მხარისათვის.
2.5.7. კლიენტი ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს საინკასაციო ოპერაციის განხორციელების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა.

2.6. სხვა სახის საბანკო მომსახურება

2.6.1. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი განიხილავს კლიენტისათვის ნებისმიერი სხვა სახის (ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი) საბანკო მომსახურების გაწევის საკითხს.
2.6.2. ბანკის მიერ ზემოაღნიშნული მომსახურებ(ებ)ის გაწევა მოხდება შესაბამისი მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი სტანდარტული პირობების და წესების (მათ შორის სტანდარტული ტარიფების) შესაბამისად, თუ ამავე ხელშეკრულებით ან მხარეთა დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 3.
ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ერთი წლის

კონფიდენციალური
- Confidential -

განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება ჩაითვლება ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელებულად იმავე ვადითა და პირობებით.

3.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა/მოშლა დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:

3.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

3.2.2. რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვანი შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუკი ამგვარი შეუსრულებლობა არ იქნება აღმოფხვრილი მეორე მხარის მიერ შეტყობინების გაკეთებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში. ამასთან, ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის (რომლის დარღვევაც ხდება დამრღვევი მხარის მიერ) მოქმედების შეწყვეტა;

3.2.3. წინამდებარე ხელშეკრულებითა და/ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.3. მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შეატყობინოს თავისი განზრახვის შესახებ მეორე მხარეს ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ:

3.3.1. შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე ხელშეკრულება უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში, მხარეები კანონით ნებადართულ ფარგლებში ითანამშრომლებენ რომელიმე მხარისათვის ამგვარი შეწყვეტის შედეგად მიყენებული შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად ან მაქსიმალურად შესამცირებლად;

3.3.2. მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევით მეორე მხარეს ადგება ზიანი, ამგვარი მეორე (არადამრღვევი) მხარე უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ზომები (მათ შორის, მომსახურების გაწევის შეჩერება) ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.

3.4. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ ყველა ფინანსური ვალდებულება (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთმანეთის წინაშე.

მუხლი 4.
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. ამ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით.

4.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება მხარეებს შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შორის შეთანხმებულ არბიტრაჟშიც.

მუხლი 5.
კლიენტის დავალებების შესრულებისას ზიანის ანაზღაურება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

5.1. კლიენტი აღიარებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ბანკის მიერ კლიენტისაგან ან სხვა უფლებამოსილი პირისაგან მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ ხელშეკრულების პირობების საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო მომსახურების გაწევისას ბანკი მოქმედებს კლიენტის დავალებით, კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს იმ ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, კლიენტის ან მესამე მხარის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის თანამშრომლებს) მიერ წაყენებული პრეტენზიებისა და საჩივრებისაგან, რომლის შედეგადაც ბანკს მიადგა ზიანი ან ზარალი. კლიენტი ასევე აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების გამოყენების შედეგად (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დისტანციურ საბანკო მომსახურებას).

5.2. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება ბანკის აღამსრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია ბანკის ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ კანონის შესაბამისად ბანკს ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა კლიენტის საგადასახადო ვალდებულების გამო, კლიენტი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს ბანკს ყველა ამგვარ ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია ბანკის რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

5.4. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ მხარეები ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

მუხლი 6.
კონფიდენციალურობა

6.1. მხარეები ვალდებული არიან ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების (დანართების ჩათვლით) და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობების კონფიდენციალურობა. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (i) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (ii)

კონფიდენციალური
- Confidential -

ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (iiii) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 7.
ზოგადი დებულებები

7.1. რომელიმე მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე;
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე. ამასთან, თუ მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნება ერთ-ერთი მხარის უფლებამონაცვლის ან სამართალმემკვიდრის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მეორე მხარე უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ამ ხელშეკრულების პირობების გადახედვა;
7.3. ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებული მისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს ბანკის აფილირებულ პირს იმ პირობით, რომ (ა) ამგვარი გადაცემის თაობაზე წერილობით უნდა ეცნობოს კლიენტს; და (ბ) ბანკი თავად დარჩება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით;
7.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ზემოაღნიშნული დათქმის მიუხედავად, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განახორციელოს ცვლილება, კერძოდ შეცვალოს ამ ხელშეკრულების პირობები ან/და განსაზღვროს დამატებითი პირობები (ორივე შემთხვევა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულებას და ნებისმიერ სხვა შესაბამის დანართს ან/და გრაფიკს და მათში განსაზღვრულ მომსახურების პირობებს, შესაბამისი ტარიფების ჩათვლით), იმისათვის, რომ ასახოს ცვლილებები საბაზრო პირობებში, საბანკო პრაქტიკასა და შესაბამის კანონმდებლობაში. ამასთან:
7.4.1. თუ ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ განხორციელდა, ბანკს უფლება აქვს ამგვარი ცვლილება დაუყოვნებლივ განახორციელოს და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებით და/ან სერვის-ცენტრებში გამოკვრით ამგვარი ცვლილებების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
7.4.2. თუ ცვლილება არ არის კლიენტის სასარგებლოდ, მაგრამ არც საზიანოა კლიენტისთვის, ბანკი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას გამოაქვეყნებს ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებით და/ან სერვის-ცენტრებში გამოკვრით ამგვარი ცვლილებების განხორციელებამდე სულ ცოტა 10 კალენდარული დღით ადრე;
7.4.3. თუ ცვლილება ზღუდავს კლიენტის ამ ხელშეკრულებით გათვალიწინებულ უფლებებს, ბანკი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას გამოაქვეყნებს ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებით და/ან სერვის-ცენტრებში გამოკვრით ამგვარი ცვლილებების განხორციელებამდე სულ ცოტა 30 კალენდარული დღით ადრე.
7.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით, და მათ შორის, ბათილი დებულებით (თუკი ბათილი დებულებით გათვალისწინებული მიზანი არ არის კანონსაწინააღმდეგო) გათვალისწინებული მიზანი;
7.6. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს;
7.7. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება. ამასთან, ხელშეკრულების დადებამდე მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმება/ხელშეკრულება, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას ან არეგულირებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებს, ჩაითვლება გაუქმებულად;
7.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე მხარემ არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან მხარეებს ან ერთ-ერთ მხარეს სურს, მაშინ ხელშეკრულება შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე მხარეთათვის მისაღებ სხვა ენაზეც. ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.
7.9. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა ჩაბარდეს პირადად ან გაიგზავნოს დაზღვეული ან რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე.

მუხლი 8.
მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ს.ს. "საქართველოს ბანკი"
მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #29ა
ტელ: 2 444 444

ბანკის წარმომადგენელი დალი სულთანიშვილი

შპს ელ.მაგნიტურ თავსებადობასა და ხელშ.დაკვ. სამს.
მის: საქართველო, თბილისიქ. თბილისი, რ-ნი: დიდუბე-ჩუღურეთი, თევდორე მღვდლისს ქ.#46, ///
ტელ: 99599744046, 996681
იმეილი:

კონფიდენციალური
- Confidential -

კონფიდენციალური
- Confidential -

მომსახურების ტიპი	ტარიფები
მიმდინარე ანგარიშის გახსნა	
მიმდინარე ანგარიშის გახსნა	10 ლარი
ანგარიშის მომსახურება	10 ლარი წელიწადში
საფულე ჩეკის წიგნაკის გაცემა	10 ლარი
ნაღდი თანხის შემოტანა მიმდინარე ანგარიშზე	
ეროვნული ვალუტა	უფასო
აშშ დოლარი	უფასო
ევრო	უფასო
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	უფასო
სხვა უცხოური ვალუტა	შეთანხმებით
მიმდინარე ანგარიშიდან თანხის განაღდება ეროვნულ ვალუტაში	
თანხის განაღდება	0,2%
მიმდინარე ანგარიშიდან თანხის განაღდება უცხოურ ვალუტაში	
თანხის განაღდება კონვერტირებად* უცხოურ ვალუტაში	0,5%
ნაღდის სახით შემოტანილი/ანგარიშიდან ჩარიცხული თანხის განაღდება სხვა უცხოურ ვალუტაში	შეთანხმებით
**კონვერტირებადი უცხოური ვალუტა: აშშ დოლარი, ევრო, ინგლისური გირვანქა სტერლინგი, შვეიცარული ფრანკი*	
მონეტების გადაცვლა ქაღალდის ბანკნოტებზე	
ეროვნული ვალუტა	უფასო
უცხოური ვალუტა - აშშ დოლარი, ევრო, ინგლისური გირვანქა სტერლინგი	30%
მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში	
"საქართველოს ბანკის" სისტემაში	უფასო
"საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ	0,07%, მინ. 1 ლარი
"საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ 10 000 ლარამდე დაჩქარებული რეჟიმი	0.1% მინ.2 ლარი
მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში	
"საქართველოს ბანკის" სისტემაში	უფასო
თანხის გადარიცხვა "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ	0,2 %, მინ. 10 აშშ დოლარი, მაქს. 500 აშშ დოლარი
თანხის გადარიცხვა "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ, მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით	0,3%, მინ. 25 აშშ დოლარი და მაქს. 500 აშშ დოლარი
მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა ევროში	
"საქართველოს ბანკის" სისტემაში	უფასო
თანხის გადარიცხვა "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ	0,2 %, მინ 20 აშშ დოლარი, მაქს. 500 აშშ დოლარი
თანხის გადარიცხვა "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ, მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით	0,3%, მინ. 45 აშშ დოლარი და მაქს. 500 აშშ დოლარი

ბანკი

_____

კლიენტი

_____

მომსახურების ტიპი	ტარიფები
მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა სხვა უცხოურ ვალუტაში	
"საქართველოს ბანკის" სისტემაში	უფასო
თანხის გადარიცხვა "საქართველოს ბანკის" სისტემის გარეთ	0,3 %, მინ. 20 აშშ დოლარი, მაქს. 500 აშშ დოლარი
შესრულებული საგადასახადო დავალების ცვლილება / ანულირება / თანხის მოძიება	
შესრულებული საგადასახადო დავალებაში ცვლილებების შეტანა/ანულირება/თანხის მოძიება	70 ლარი

MasterCard/VISA Business კლასის საერთაშორისო პლასტიკური ბარათებთან დაკავშირებული ტარიფები

MasterCard/VISA Business კლასის პლასტიკური ბარათების ღირებულება	
1 წლიანი ბარათები	85 ლარი
2 წლიანი ბარათები	110 ლარი
პლასტიკური ბარათის დამზადება სასწრაფო რეჟიმში	შესაბამისი ბარათის ღირებულებას + 15 ლარი
მინიმალური ნაშთი საბარათე ანგარიშზე	
MasterCard/VISA Business	არ მოითხოვება
პლასტიკური ბარათით სავაჭრო და მომსახურე ობიექტებში ანგარიშსწორების საკომისიო	
ადგილობრივი	უფასო
საერთაშორისო	უფასო
პლასტიკური ბარათის ბლოკირება	
პლასტიკური ბარათის ლოკალურ სტოპ-სიაში შეტანა	უფასო
პლასტიკური ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანა	80 ლარი
პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული სხვა ტარიფები	
ავტომატური ოვერდრაფტის წლიური საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში	24%
PIN-ის გამოცვლა ბანკომატების საშუალებით	უფასო
კონვერტაციის საკომისიო საერთაშორისო ოპერაციებზე	2%
"საქართველოს ბანკის" სერვის-ცენტრებში პლასტიკური ბარათის გარეშე თანხის განაღდება ერთჯერადად	3% მინ. 3 ლარი
MasterCard/VISA Business კლასის პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორების/განაღდების დღიური ლიმიტები	
ნებისმიერი ბანკის ბანკომატში თანხის განაღდების დღიური ლიმიტი	1 500 ლარი
"საქართველოს ბანკის" სერვის-ცენტრებში თანხის განაღდების დღიური ლიმიტი	შეუზღუდავად
სხვა ბანკების სერვის-ცენტრებში თანხის განაღდების დღიური ლიმიტი	50 000 ლარი
სავაჭრო და მომსახურე ობიექტებში ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი	100 000 ლარი
ინტერნეტ ბანკი	
რეგისტარცია	უფასო
მომსახურება	უფასო

ბანკი **კლიენტი**

_____ _____

მობილბანკი	
რეგისტრაცია	უფასო
მომსახურება	0.5 ლარი თვეში
მუდმივი საგადასახადო დავალება	
რეგისტრაცია	უფასო
მომსახურება	1 ლარი თვეში
ავტომატური გადახდები კომპანიისთვის	
რეგისტრაცია	უფასო
მომსახურება	1 ლარი თვეში
სატელეფონო ცენტრით მომსახურება CIC კოდით	უფასო
სატელეფონო ცენტრით მომსახურება დიჯიპასით	50 ლარი
მომსახურების სხვა სერვის-ცენტრებში ნართვა (აქტიურიც და პასიურიც)	უფასო
უფლებამოსილი პირისათვის საიდენტიფიკაციო საშუალებად CIC კოდის გაწერა	უფასო
უფლებამოსილი პირისათვის საიდენტიფიკაციო საშუალებად დიჯიპასის გაწერა	50 ლარი

ცნობების გაცემა	**აქტიურ ანგარიშებთან დაკავშირებით**	**დახურულ ანგარიშებთან დაკავშირებით**
ცნობის გაცემა მიმდინარე/საანაბრე ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ	10 ლარი	30 ლარი
ცნობის გაცემა მიმდინარე/საანაბრე ანგარიშის (არ) არსებობის შესახებ	10 ლარი	30 ლარი
ცნობის გაცემა მიმდინარე/საანაბრე ანგარიშზე არსებული ბრუნვის შესახებ	10 ლარი	30 ლარი
ცნობის გაცემა ბანკის წინაშე დავალიანების არსებობის შესახებ	10 ლარი	10 ლარი
ამონაწერის მიღება (2 წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ოპერაციებზე)	უფასო	10 ლარი
ამონაწერის მიღება (2 წელზე მეტი ხანდაზმულობის ოპერაციებზე)	20 ლარი	30 ლარი
სხვა ცნობის გაცემა		
ცნობის გაცემა ანგარიშის გაუხსნელად შესრულებული ოპერაციების შესახებ - 2 წლამდე ხანდაზმულობის ოპერაციებზე	10 ლარი	
ცნობის გაცემა ანგარიშის გაუხსნელად შესრულებული ოპერაციების შესახებ - 2 წელზე მეტი ხანდაზმულობის ოპერაციებზე	30 ლარი	
ცნობის გაცემა ბანკის წინაშე საკრედიტო დავალიანების (არ) არსებობის შესახებ	10 ლარი	
5 ან 5-ზე ნაკლები საბუთის ასლის გაცემისას ჯამური საკომისიო	10 ლარი	
5-ზე მეტი საბუთის ასლის გაცემისას თითოეული ასლის საკომისიო	2 ლარი	
საბუთის დამატებითი ეგზემპლიარის (1 ეგზემპლიარის) გაცემის საკომისიო ვა-ბანკიდან ამობეჭდვის გზით:		
საბუთები 1 თვემდე ხანდაზმულობის ოპერაციებზე	უფასო	უფასო
საბუთები 1 თვეზე მეტი ხანდაზმულობის ოპერაციებზე	1 ლარი	1 ლარი
ინტერნეტ-ბანკით შექმნილი საბუთების ამოღება ხანდაზმულობის მიუხედავად	უფასო	უფასო
დაუმოწმებელი საერთაშორისო გარანტიები და სტენდბაი აკრედიტივები		
გაცემა	0.3% თვეში, მინ. 100 აშშ დოლარი ყოველთვიურად	
ცვლილებების შეტანა	80 აშშ დოლარი თითო ცვლილება	
ავიზირება ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე	0.15%, მინ. 90 აშშ დოლარი მაქს. 400	

ბანკი **კლიენტი**

	აშშ დოლარი
მოთხოვნის დაკმაყოფილება	თანხის 0.15%, მინ. 90 აშშ დოლარი
სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ხარჯები	60 აშშ დოლარი
ადგილობრივი გარანტიები *	
თანხებით უზრუნველყოფილი გარანტიები	0,3% მინ 30 ლარი ყოველთვიურად
სხვა აქტივებით უზრუნველყოფილი გარანტიები **	0.5% თვეში მინ 40 ლარი ყოველთვიურად
მოთხოვნის დაკმაყოფილება	თანხის 0.15%, მინ. 50 ლარი
ცვლილების შეტანა გარანტიაში	50 ლარი თითო ცვლილება
აკრედიტივები	
გახსნა – (დაუმოწმებელი აკრედიტივი) *	0.2% თვეში, მინ. 100 აშშ დოლარი ყოველთვიურად
დადასტურებული და დაუდასტურებელი აკრედიტივის ავიზირება	0.15%, მინ. 90 აშშ დოლარი მაქს. 500 აშშ დოლარი
დადასტურება პირდაპირი გადახდის პირობით	0.1% თვეში მინ. 130 აშშ დოლარი
დადასტურების საკომისიო (განვადებით გადახდის ან თამასუქის აქცეპტირების დროს)	0.1% თვეში მინ. 130 აშშ დოლარი
ცვლილება	100 აშშ დოლარი თითოეულ ცვლილებაზე
ხარვეზი	40 აშშ დოლარი თითოეულ ხარვეზით წარმოდგენილ დოკუმენტების პაკეტზე
ტრანსფერი	სატრანსფერო თანხის 0.15%, მინ 100 აშშ დოლარი
სატელეკომუნიკაციო და ფოსტის ხარჯები	60 აშშ დოლარი
თამასუქის აქცეპტირება	0.2% თვეში მინ. 90 აშშ დოლარი
წინასწარი ავიზირება	110 აშშ დოლარი
დოკუმენტური ინკასო	
ავიზირება გადამხდელისთვის***	0,15%, მინ. 50 აშშ დოლარი
დოკუმენტაციის გადაცემა გადახდის გარეშე***	0,15%, მინ. 50 აშშ დოლარი მაქს. 150 აშშ დოლარი
საკომისიო საქონლის იმპორტიორზე გადაცემაზე****	0,15%, მინ. 50 აშშ დოლარი
საინკასო ინსტრუქციების ცვლილება	50 აშშ დოლარი ყოველი ცვლილება
სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ხარჯები	60 აშშ დოლარი
თანხის გადახდაზე ან თამასუქის აქცეპტზე იმპორტიორის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში*****	0,15% მინ. 50 აშშ დოლარი

* მოცემული ტარიფები ვრცელდება თანხით უზრუნველყოფილ ოპერაციებზე. სხვა აქტივებით უზრუნველყოფილი ოპერაციების ტარიფები დამატებითი შეთანხმების საგანია
** ექვემდებარება დამატებით ცვლილებას საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად
***იმ შემთხვევაში თუ გადამხდელი უარს განაცხადებს საკომისიოების გადახდაზე, აღნიშნული საკომისიოები დაეკისრება ექსპორტიორს
****იმ შემთხვევაში თუ საქონელი გამოგზავნილია ბანკის სახელზე. ეს საკომისიო ყველა შემთხვევაში ექსპორტიორის გადასახდელია მიუხედავად საინკასო დავალებაში არსებული პირობებისა
*****გარდა სანოტარო ხარჯებისა (საჭიროების შემთხვევაში)

ოპერაციები საბანკო ჩეკებით	
საბანკო ჩეკის განაღდება	1%, მინ. 50 ევრო
საბანკო ჩეკის გაცემა	თანხის 0,5%, მინ. §5
ვალუტის გაცვლითი ოპერაციები	
ბანკის კომერციული კურსით	დამატებითი საკომისიოს გარეშე
ფასიანი ქაღალდებით მომსახურება	

ბანკი **კლიენტი**

_____ _____

კლიენტის დავალებით სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე შეძენა, მეორად ბაზარზე ყიდვა, გაყიდვა, გასხვისება, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა	სახაზინო ვალდებულების ნომინალური ღირებულების 0.1% მინ. 20 ლარი და მაქს. 100 ლარი

[redacted]	[redacted]
ვალუტის დაზიანებული კუპიურის შეცვლა	ნომინალის 5%
ბანკნოტების შემოწმება	ნომინალის 0.1%, მინ. 5 ლარი
ინდივიდუალური სეიფები	
მცირე ზომის (50X30X9 სმ) სეიფი	1.5 ლარი 24 სთ.,
საშუალო ზომის (50X30X14.5 სმ) სეიფი	2 ლარი 24 სთ.,
დიდი ზომის (50X30X39 სმ) სეიფი	2.5 ლარი 24 სთ.,
ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის მინიმალური ვადა	14 კალენდარული დღე
ინკასაცია*	
ერთჯერადი ინკასაცია ქ. თბილისის ფარგლებში	შეთანხმებით
ინკასაცია ქ. თბილისის ფარგლებში	0,3% თვეში, მინ. 30 ლარი
ინკასაცია ქ. თბილისის გარეთ	შეთანხმებით

*ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაცილება ორგანიზაციის შენობიდან მომსახურე ბანკის შენობამდე

*ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაცილება მომსახურე ბანკის სალაროდან ორგანიზაციის შენობამდე

*ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაცილება კომერციული ბანკიდან ეროვნული ბანკის სალარომდე

*კლიენტის კურიერის გაცილება დანიშნულების ადგილამდე

ბანკი

_____

კლიენტი

_____

თბილისი 17 ივნისი 2013 წელი

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1 **გარანტი:**

1.1.1 გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869) (შემდგომში „გარანტი")

1.1.2 გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

1.1.3 წარმომადგენლის უფლებამოსილება: სს „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 2012 წლის 09 ოქტომბერს გაცემული #121095661 ორმხრივ ხელმოწერილი და დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ.

1.1.4 წარმომადგენლის (ხელმომწერი პირი)სახელი და გვარი: ეთერ ჩხეიძე

1.1.5 თანამდებობა/სტატუსი: გარანტიების სამსახურის უფროსი

1.1.6 ტელეფონი: +995 32 2 444 444

1.2 **პრინციპალი:**

1.2.1 პრინციპალი: შპს ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური (შემდგომში „პრინციპალი")

1.2.2 პრინციპალის საიდენთიფიკაციო კოდი: 203855186

1.2.3 პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ს/ნ დიდუბის რაიონში, თეკლდორე მღვდლის ქ.N,46

1.2.4 წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი): სახელი და გვარი: თეიმურაზ ოკანიძე (01005005877)

1.2.5 თანამდებობა/სტატუსი: დირექტორი

1.2.6 ტელეფონი: 5993377358; 2356090

1.3 **გარანტი და პრინციპალი მოქმედი კანონმდებლობისა და წესდებების საფუძველზე დებენ წინამდებარე საგარანტიო ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:**

2. ბენეფიციარი:

2.1.1 სახელწოდება (საფირმო): სს "საქართველოს რკინიგზა" (შემდგომში „ბენეფიციარი")

3. ხელშეკრულების საგანი:

3.1 პრინციპალის თხოვნით წინამდებარე ხელშეკოულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით საბანკო გარანტიის გაცემა ბენეფიციარის სასარგებლოდ ჯამურად თანხით 2,690 (ორი ათას ექვსასოთხმოცდაათი) ლარი.

3.2 გარანტიის მოქმედების მაქსიმალური ვადა: 05 სექტემბერი 2013 წელი

4. **გარანტიის დაფარვის წყარო:**

4.1 საბანკო გარანტიის და წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფას წარმოადგენს პრინციპალის საკუთარი თანხები 2,690 (ორი ათას ექვსასოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით, დადებულია თანხა პრინციპალის #GE76BG0000000118088600 ანგარიშიდან გადატანილი იქნება სს „საქართველოს ბანკის" საგანგებო ანგარიშზე, დეპოზიტებზე ფარანტიებზე მიხედვით და ჩათვლება გირავნობის საგნად განკაოგვის უფლების გარეშე, [illegible]

5. **ხელშეკრულების შესრულების წესი:**

5.1 **პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარანტი კისრულობს პასუხისმგებლობას ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ბენეფიციარს გარანტიის საფუძველზე გადაუხადოს თანხა 2,690 (ორი ათას ექვსასოთხმოცდაათი) ლარი.**

5.2 გარანტი თავის ვალდებულებას შეასრულებს ბენეფიციარის მიერ წერილობით გაფორმებული გადახდის მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში საბანკო გარანტიაში მითითებული წესით

5.3 გარანტი გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინებს პრინციპალს ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის აღსრულების მოთხოვნის ფაქტის შესახებ და ვადასტურებს წარმოდგენილი ძალისხმევის ანლს

5.4 პრინციპალი ვალდებულია გარანტის მოთხოვნისთანავე აცნობოს მას თავისი მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა.

5.5 საპროცენტო სარგებელი:

5.5.1 **გარანტიის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო: 0.3 %**

5.5.2 **გარანტიის მომსახურების მინიმალური ყოველთვიური საკომისიო: 30 (ოცდაათი) ლარი**

5.5.3 **პრინციპალი ვალდებულია საგარანტიო ოპერაციის მომსახურებისათვის გარანტს გადაუხადოს საგარანტიო ხელშეკრულების 5.5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საკომისიო არანაკლებ საგარანტიო ხელშეკრულების 5.5.2 პუნქტით გათვალისწინებული თანხისა. საკომისიოს გადახდა ეუნდა ამოიღოს ყოველთვიურად და იმავე რიცხვებში, რაშიც გაიცა საბანკო გარანტია. საკომისიოს გადახდა** [illegible] **საკომისიოს ოდენობა არ შეიძლება იყოს ერთი თვის** [illegible] **ნასარგებლები დღეების მიხედვით.**

5.5.4 **იმ ძეძახვევაში, თუ პრინციპალის მიერ საკომისიოს გადახდის დაგვიანება გადაცდა 30 (ოცდაათი) კალენდრულ დღეს, მაშინ პრინციპალი გადაუხდის გარანტს ვადაგაცილებული საკომისიოს ორმაგი ოდენობით.**

5.5.5 **გარანტის მიერ საბანკო გარანტიაზე ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პრინციპალი ვალდებულია გარანტს გადაუხადოს საკომისიო ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხის 0.15%-ის (ნოლი მთელი თხუთმეტი მეასედი პროცენტი) ოდენობით, მინიმუმ 50 (ორმოცდაათ) ლარი კონკრეტულ გადახდაზე.**

პრინციპალის ხელმოწერა

5.5.6 გარანტის მიერ ბენეფიციარის მხრიდან წამოყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ პრინციპალი გარანტს არ დაუფარავს საბანკო გარანტიაზე გადახდილ თანხას, გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ თანხის გადახდის თარიღიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმალობაში, გადაუხდელი თანხის სრულად დაფარვამდე პრინციპალი ვალდებულია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაძატებით გადაუხადოს გარანტს ჯარიმის სახით გადაუხდელი თანხის 0.1%, მინიმუმ 30 (ოცდაათი) ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.5.7 გარანტიაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, პრინციპალი ვალდებულია გარანტს თითოეული ცვლილებაზე გადაუხადოს ცვლილების საკომისიო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

5.5.8 საბანკო გარანტიის სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან ბანკიდან და ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიით ჩანაცვლების შემთხვევაში პრინციპალი ვალდებულია გარანტს გადაუხადოს პირგასამტეხლო, საგარანტიო თანხის 7%-ის ოდენობით.

5.5.9 გარანტი უფლებამოსილია პრინციპალის ნებისმიერი სახის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და ანგარიშ(ებ)ზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, გარანტი უფლებამოსილია თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის სს „საქართველოს ბანკში" მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს პრინციპალის ანგარიშ(ებ)იდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად.

5.6 პრინციპალი ვალდებულია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიღებული ყოველგვარი შემოსავალი ჩარიცხოს სს „საქართველოს ბანკში" გახსნილ ანგარიშსწორების ანგარიშ(ებ)ზე.

5.7 პრინციპალი ვალდებულია ბენეფიციართან ანგარიშსწორება აწარმოოს, მხოლოდ სს "საქართველოს ბანკში" გახსნილი საბანკო ანგარიშიდან.

5.8 გარანტიის შემცირების ან გაუქმების შემთხვევაში, პრინციპალის მიერ წარმოდგენილი ბენეფიციარის თანხმობას შემცირებაზე ან გაუქმებაზე თან უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის მხრიდან ხელმომწერი პირის ხელმოწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.9 საგარანტიო ხელშეკრულების საფუძველზე არსებული საბანკო გარანტიის უზრუნველყოფის საშუალებათა გამოთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას გარანტი იღებს გარანტიის მოქმედების ვადის გასვლიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

5.10 საბანკო გარანტიის ტექსტი შეთანხმებულია პრინციპალთან და ეთანხმება საბანკო გარანტიის ტექსტს.

5.11 გარანტი უფლებამოსილია წინამდებარე საბანკო გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით მოახდინოს პრინციპალის საბანკო ანგარიშებზე თანხების დაკავება. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე გარანტიისათვის უზრუნველყოფის სახით დაგირავებული/დაკავებული თანხები, კუოსთაშორისი ცვალებადობის გამო ალარ წარმოადგენს კონკრეტული გარანტიისათვის საკმარის უზრუნველყოფას.

5.12 გარანტი უფლებამოსილია აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერიდან მოახდინოს საბანკო გარანტიის გაცემა 12 (თორმეტი) დღის ვადაში, იმ პირობით, რომ პრინციპალის მიერ დაკმაყოფილებული იქნება ყველა პირობა ბანკისათვის მისაღები ფორმით (ასეთი პირობების არსებობის შემთხვევაში).

6. განსაკუთრებული პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის საბანკო გარანტიის გაცემის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ საბანკო გარანტიითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

6.2 მხარეთა მიერ წამოჭრილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

6.3 საგარანტიო ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.4 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება გარანტთან, მეორე გადაეცემა პრინციპალს.

7. მხარეთა რეკვიზიტები

„გარანტი"	„პრინციპალი"
სს „საქართველოს ბანკი" ს.კ. 204378869	შპს. ელექტროინჟინერული თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური
გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო	საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ.N.46
ეთერ ჩხეიძე	თეიმურაზ სვანიძე

პრინციპალის ხელმოწერა: _____